ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 9

„16“ იანვარი 2018 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფ.დიღომში, მარკო პოლოს ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის მარკო პოლოს I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, სოფ.დიღომში, მარკო პოლოს ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს მარკო პოლოს I გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



477540
477570
477600
477630
477660
477690
477720
477750
477780
4626720
4626690
4626660
4626630
4626600
4626570
N
1:1,000
X:477,683.023
Y:4,626,698.864
მარკო პოლოს I გას
X:477,643.433
Y:4,626,610.537